პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

6 მარტი, ოთხშაბათი, 1985 წ.
№ 44 (7855) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„ჩვენი პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მიზანია, კიდევ უფრო აქტიური პოზიცია დაიკავონ ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის საქმეში. სამწუხაროდ, ისინი, როგორც წესი, იფარგლებიან მხოლოდ სპორტული ინფორმაციით, მატჩებისა და შეჯიბრებების ტრანსლაციით. ჩვენ ხშირად გვერად უკეთ ვართ ინფორმირებული საზღვარგარეთელი „ვარსკვლავების“, ვიდრე ზოგიერთი ჩვენი გამოჩენილი სპორტსმენის შესახებ. მე უკვე აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ საფუძვლიანი პრობლემური გამოსვლები ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საკითხებზე მეტად იშვიათად გვხვდება“.

1984 წლის 21 იანვარს რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ამხანაგ ედუარდ შევარდნაძის მოხსენებიდან.

ყველა უფლება — ერთი უფლების გარდა

„ლელო“, ჩვენი ღრმა რწმენით, მარტო სპორტული გამოცემა არ არის. იგი ავლენს ჩვენი საზოგადოებრიობის დამოკიდებულებასაც ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობისადმი, მისი პრობლემური, აქტუალური, საჭირბოროტო საკითხებისა და ამოცანებისადმი. რა თქმა უნდა, ამ ფართო ცნებაში — საზოგადოებრიობაში, ვგულისხმობთ მკითხველსაც, სპორტული სამყაროს წარმომადგენლებსაც და ამ დარგის მოღვაწეებსაც. ვფიქრობთ, პარტიულ-სამეურნეო აქტივის შემდგომი პერიოდი ანალიზისა და დასკვნების საკმაო საფუძველს იძლევა. ეს იმ მხრივაც არის საგულისხმო და მნიშვნელოვანი, რომ ამ ანალიზზე დიდად არის დამოკიდებული რედაქციის სამომავლო მუშაობის მიმართულება და ხარისხი.

უწინარეს ყოვლისა, მოდით თვალი გავადევნოთ რედაქციის კარდინალურ კურსს, რომელიც მან შარშანდელი წლის დამდეგს აირჩია. ეს არის კურსი რესპუბლიკის ფიზკულტურული და სპორტული ცხოვრებისა და მისი პრობლემების წარმოჩენისა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებათა შუქზე. როგორც ცნობილია, აქტივმა რესპუბლიკის მთელ სპორტულ ორგანიზაციას დაუსახა სამომავლო გეგმები, რომელთა ხორცშესხმას თვისებრივად უნდა აემაღლებინა მისი საქმიანობის ხარისხი და რესპუბლიკის სპორტი საკავშირო მასშტაბით მაღალ პოზიციებზე უნდა გაეყვანა. ცხადია, აქტივის გადაწყვეტილებები ეხებოდა გაზეთ „ლელოს“ მუშაობის რადიკალურ გაუმჯობესებასაც. ჩვენ სწორედ ეს მითითებები მივიჩნიეთ მუშაობის ქვაკუთხედად.

გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ საქართველოს სპორტული ორგანიზაციისა და ჩვენი გაზეთის პრობლემები მეტწილად ერთნაირი აღმოჩნდა.

უწინარეს ყოვლისა, „ლელოს“ ისე უნდა წარმოეჩინა ჩვენი სპორტული ცხოვრება, რომ ზუსტად დაეცვა თანაფარდობა პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეებს შორის, არავითარ შემთხვევაში არ შეექმნა ყალბი კეთილდღეობის შთაბეჭდილება მკი-

იხ. გვ.2 გვ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მასობრივი ფიზიკური კულტურისა და გაჯანსაღებისათვის

15 თებერვალს გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლების — ი. აბაშიძის, თ. გამყრელიძის, ნ. თავართქილაძის, ჯ. კახიძის, ო. მელვინეთუხუცესის, ნ. ყვანიას, ვ. ხანევის, ო. ქინქლაძის, მ. ჩიბურდანიძის, ვ. ჭელიძის, ე. ხარაძისა და ს. ხეჩინაშვილის ღია წერილი-მიმართვა, რომელიც ეხებოდა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ფიზიკური კულტურის მნიშვნელობას. მათ პრინციპულად და მწვავედ დააყენეს პრობლემა, დაინერგოს ფიზიკური კულტურა რესპუბლიკის მშრომელებისა და საერთოდ მთელი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში, მოუწოდეს ჩაებან ჯანმრთელობის მასობრივ ლაშქრობაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ეს მიმართვა.

ბოლო წლებში რესპუბლიკაში გაძლიერდა პარტიული ხელმძღვანელობა ფიზკულტურული მოძრაობისადმი, გადიდდა საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული სპორტული და სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებლობა მისი მასობრივი განვითარებისათვის. ინერგება ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ახალი ფორმები, მტკიცდება მასობრივი და დიდი სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შეიქმნა ფიზიკურ კულტურასთან ყველასა და თითოეულის ზიარების გამოუყენებელი რეზერვების ძიების, გამოვლენის ატმოსფერო. სწორედ ამის მაგალითი გახდა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ღია წერილი — მიმართვა. იგი გამსჭვალულია მასობრივ ფიზკულტურაში არსებულ ნაკლოვანებათა უსწრაფესი დაძლევის რწმენით.

მართლაც, ფიზიკური კულტურა, სპორტი, ტურიზმი ჯერაც არ გამხდარა მოსახლეობის უმრავლესობის ყოველდღიური საარსებო მოთხოვნილება. ზოგიერთ რეგიონში, შრომითსა და სასწავლო კოლექტივში დაბალია ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის დონე, იგი ფორმალურად წარმოებს. გადასაწყვეტია საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა კომპლექსური დანერგვის ბევრი ამოცანა. დროული ღონისძიებანი არ ხორციელდება ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომბინატების შესაქმნელად, ნაკლებ ეფექტიანად გამოიყენება არსებული სპორტული ბაზები.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობაში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის მდგომარეობა, ფიზკულტურის გაკვეთილებზე ბავშვებს არ უნერგავენ ფიზიკური თვითაღზრდის, პირადი ჰიგიენის ჩვევებს, სუსტად წარმოებს მუშაობა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მოქალაქის, პატრიოტის, რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტიური მონაწილის ფიზიკური და სულიერი სახის ჰარმონიულ განვითარებას.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებსა და აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, წინადადება მიეცათ განიხილონ საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მიმართვა ბიუროების, აღმასკომების სხდომებზე, პარტიულ კრებებზე, დასახონ ფიზკულტურულ-მასობრივი და გამაჯანსაღებელი მუშაობის შემდგომი სრულყოფის, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების კონკრეტული ღონისძიებანი.

უნდა ვავითარებდეთ ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ჯანმრთელობის კერებად კულტურისა და დასვენების პარკების გადაქცევის გზით მაქსიმალურად ვიყენებდეთ ხელშემწყობ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს. საჭიროა გავაფართოოთ კულტურულ-სპორტული კომპლექსების ქსელი მოსახლეობის დასვენების ორგანიზაციის სრულყოფისა და მშრომელთა თავისუფალი დროის უკეთ გამოყენების მიზნით.

რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ კოლეგიების გაფართოებულ სხდომებზე განიხილონ მასობრივი ფიზიკური კულტურის შემდგომი განვითარების კონკრეტული საკითხები. შრომის პროცესზე, შრომის ნაყოფიერების ზრდაზე ფიზიკური კულტურისა და სპორტის გავლენის გასადიდებლად ყოველ საწარმოში, დაწესებულებაში უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს „ჯანმრთელობის“ პროგრამები.

საქართველოს სსრ პროფსაბჭომ, ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, დოსააფის ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა განიხილონ ფიზკულტურულ-მასობრივი მოძრაობის განვითარებაში, საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურისათვის ახალგაზრდობის ფიზიკურ მომზადებაში პირველადი პროფკავშირული, კომკავშირული, აგრეთვე დოსააფის ორგანიზაციების როლის ამაღლების საკითხები.

რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, კულტურის სამინისტრომ, სპორტკომიტეტმა უნდა მიიღონ ეფექტიანი ზომები მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის, საჭიროა ავამაღლოთ ხარისხი და როლი ფიზკულტურის გაკვეთილებისა და ფაკულტატური მეცადინეობებისა, რომლებიც აყალიბებენ ფიზიკური კულტურის, პირადი ჰიგიენის საფუძვლებს, გავამრავალფეროვნოთ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ფორმები.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წინადადება მიეცა შეიმუშაოს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა პრაქტიკაში ფიზიკური კულტურის დანერგვის დამატებით ღონისძიებათა კომპლექსი. მოსახლეობის საყოველთაო ყოველწლიური დისპანსერიზაცია მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს ფიზკულტურის, როგორც დაავადებათა პროფილაქტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორის უნარიან პროპაგანდას.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, გამსახკომი, საზოგადოება „ცოდნა“ მოწოდებული არიან ფართოდ და სისტემატურად უწევდნენ პროპაგანდას ფიზიკური კულტურის მეცადინეობის მიზნებსა და ამოცანებს. (საქინფორმი).

კობა კურტანიძე — ორგზის პრიზიორი

ბუდაპეშტი. ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც მეოცედ ჩატარდა უნგრეთის დედაქალაქში, პოპულარობით სარგებლობს ევროპის ქვეყნებში და ტრადიციულად კონტინენტის ყველა უძლიერეს ათლეტს უყრის თავს. ასე იყო ამჯერადაც. ასპარეზობაში 19 ქვეყნის 200-ზე მეტი ძიუდოისტი გამოდიოდა.

საბჭოთა სპორტსმენებმა ტურნირი კარგად ჩაატარეს და ყველა პრესტიჟულ წონაში პირველი ადგილი დაისაკუთრეს. ჩელიაბინსკელმა გრიგორი ვერიჩევმა აბსოლუტურ თანრიგში გაიმარჯვა. ფინალში მისი მეტოქე ოდესელი გენადი იარემენკო იყო, რომელიც მეორე ადგილზე დარჩა, მძიმე წონაში იმარჯვა ალმაათელმა ნიკოლოზ ჩოლომინეცმა. ვერიჩევი ამ წონაში მეორე იყო.

ქვემძიმე წონაში ბადალი არ ჰყავდა გორელ კობა კურტანიძეს, მან ყველა შეხვედრა აღმავლობით ჩაატარა და პირველი ადგილი დაისაკუთრა. მერე კობამ აბსოლუტურ კლასში სცადა ბედი და იქაც მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი შოთა ხაბარელი 86 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილზე გავიდა.

სულ ტურნირში საბჭოთა ძიუდოისტებმა 3 ოქროს, 3 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

მატჩამდე ორი დღე დარჩა

ორიოდე დღეც და თბილისი დიდი საჩოგბურთო ასპარეზობის მასპინძელი გახდება — 8 მარტს სპორტის სასახლეში დაიწყება დევისის თასის 1985 წლის გათამაშების I ლიგის მონაწილეთა მერვედფინალური მატჩი: საბჭოთა კავშირი — ჩეხოსლოვაკია.

ჩეხოსლოვაკიის ჩოგბურთელთა სიძლიერე საყოველთაოდ ცნობილია. საკმარისია ითქვას, რომ მათი ლიდერი ივან ლენდლი მსოფლიოს ამჟამინდელ კლასიფიკაციაში მესამე ნომრადაა დასახელებული. ჩეხოსლოვაკიელთა „კვარტეტის“ დანარჩენ წევრთა პოზიციები კი ამ სიაში ასეთია: ტომაშ შმიდი მე-18 ადგილზეა, ლიბორ პიმეკი მსოფლიოს 22-ე ჩოგანია, ხოლო მილოსლავ მეჩირი — 29-ე.

როგორც ჩეხოსლოვაკიის ნაკრების კაპიტანმა, ახლო წარსულში ცნობილმა სპორტსმენმა იან კოდეშმა განაცხადა, თბილისში არ გამოდის წყვილთა თამაშის ცნობილი ოსტატი პაველ სლოჟილი და ამიტომ მის ნაცვლად შმიდს პარტნიორობას გაუწევს ან ლენდლი, ან პიმეკი (სხვათა შორის, შმიდი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მეწყვილედ ითვლება).

ჩეხოსლოვაკიის პრესა დიდ ადგილს უთმობს მომავალ შეჯიბრებას. პრაღის ცენტრალურმა სპორტულმა გაზეთმა „ჩესკოსლოვენსკი სპორტმა“ გამოაქვეყნა მასალა, სადაც მიმოიხილავს თბილისის მატჩის მონაწილეთა შანსებს.

აი, რა თქვა ტომაშ შმიდმა: „მეტად მძიმე ბრძოლა მოგველის. საბჭოთა ჩოგბურთელებმა საკმაოდ ხანგრძლივი კრიზისის შემდეგ მკვეთრად გააუმჯობესეს თამაში. გაიხსენეთ თუნდაც ჩვენი შეხვედრა დევისის თასის 1983 წლის გათამაშებაში. მართალია, ჰრადეც კრალოვში გამართული ის ორთაბრძოლა ჩვენ მოვიგეთ, ანგარიშით 4:1, მაგრამ მეტოქემ მედგარი წინააღმდეგობა გაგვიწია (მაშინ ზვერევმა თავად შმიდი დაამარცხა — რედ.), ახლა კი მას საკუთარი კედლების უპირატესობა ექნება“.

ამავე აზრისაა კოდეში: „ჰრადეც კრალოვში ყოველი ქულისთვის მოგვიხდა ბრძოლა. კიდევ უფრო გაგვიჭირდება ახლა თბილისში“.

ჩეხოსლოვაკიელთა მწვრთნელის ფრანტიშეკ პალას თქმით, ნაკრების წევრები (ლენდლის გამოკლებით) თბილისის მატჩისთვის პრაღაში ემზადებოდნენ. შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე კი მათ ლენდლიც შეუერთდა.

რაც შეეხება საბჭოთა გუნდს, მისმა კაპიტანმა შამილ ტარპიშჩევმა არჩევანი ამ ოთხეულზე შეაჩერა: ალექსანდრ ზვერევი, სერგეი ლეონიუკი, ანდრეი ჩესნოკოვი, ვადიმ ბორისოვი. ეს სპორტსმენები კარგა ხანია ინტენსიურად ემზადებიან ამ საპასუხისმგებლო ასპარეზობისთვის და იმედს გამოვთქვამთ, მედგარ წინააღმდეგობას გაუწევენ ტიტულიან მეტოქეს.

მატჩის მთავარი არბიტრია შვედი მაგნუსონი.

DAVIS CUP - NEC
1985
СССР
ЧССР
ТЕННИС

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა უფლება — ერთი უფლების გარდა

დასასრული

თხველისათვის, შეექო ის, რაც შესაქებია, ხოლო ყოველგვარი კომპრომისის გარეშე გაეკრიტიკებინა და სააშკარაოზე გამოეტანა ჩვენი სპორტის ქრონიკულად ჩრდილოვანი მხარეები. უამისოდ გაზეთი დაემგვანებოდა ამაო დითირამბების ორგანოს, რომელსაც შესაძლოა მოეგო და გაეხარებინა ზოგიერთი სპეციალისტის გული, მაგრამ ზიანი მოეტანა ჩვენი სპორტისათვის.

ამ ერთი წლის მანძილზე თითქოს ყველაზე უმნიშვნელო მიღწევა-წარმატებაც კი არ გამოგვრჩენია, რათა, ერთი მხრივ, დადებითი მაგალითით წაგვეხალისებინა და გაგვემხნევებინა თვით წარმატების შემოქმედნი და მათი კოლეგები, ხოლო, მეორე მხრივ, იმედი ჩაგვენერგა ჩვენი საზოგადოებრიობისთვის. მთელი წლის მანძილზე „ლელო“ გაფაციცებით ეძებდა ასეთ იმედისმომცემ ფაქტებს, ინფორმაციებს, ეძებდა და ამ ძიების პროცესში ბევრჯერ მიუღია მადლიერი მკითხველის მხარდაჭერა.

მაგრამ „ლელოს“ ჰქონდა მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მისია და ამოცანა: კეთილგანწყობილი, ობიექტური და პროფესიული კრიტიკის გზით შეეფასებინა ჩვენი სპორტის ჭეშმარიტი ღირებულებანი, რათა არხეინი ცხოვრება მოესპო მცონარებისა და უქნარებისთვის. მაგალითების ჩამოთვლა ალბათ საჭირო არ არის, რადგან გაზეთი, უპირველეს ყოვლისა, მკითხველისაა და მის ფურცლებზე დამკვიდრებულ კრიტიკულ პათოსს, იმედი გვაქვს, ყველა ამჩნევს და ხედავს. ამ მხრივ „ლელომ“ მართლაც შეიძინა მებრძოლი სულისკვეთება და, ვფიქრობთ, მას სიმხდალეს ვერავინ დასწამებს. მაგრამ აქვე უნდა დავძინოთ, რომ „ლელოს“ კრიტიკული დამოკიდებულება ნაკლოვანებებისა და მწვავე, პრობლემური საკითხებისადმი არ არის ისეთივე ინტენსიური და თანმიმდევრული, როგორიც პოზიტიური მხარეების წარმოჩენისას. რით უნდა აიხსნას ეს? ჩვენ არა ვართ ისე „სასტიკნი და დაუნდობელნი“ კრიტიკაში, როგორც ზოგ-ზოგს ჰგონია (საბედნიეროდ, მათი რიცხვი მცირეა). პირიქით, ზოგჯერ კრიტიკას ვაკლებთ. ცხადია, ეს იმიტომ როდი ხდება, რომ ვინმესი გვეშინია — თუ კაცი მართალია, მისი მომრევი და დამშინებელი ამქვეყნად არავინ არის — არამედ ისევ და ისევ ხან ამა თუ იმ პიროვნების დამსახურების გათვალისწინებით, ხანაც იმის იმედით, რომ საქმე ბოლოს და ბოლოს დაიძვრება მკვდარი წერტილიდან. ალბათ, იმის ფიქრიც გვაკავებს ხოლმე, რომ პროპორცია კრიტიკისაკენ არ გადაიხაროს. ეს კი ჩვენი მუშაობის ნაკლად უნდა ჩაითვალოს. როცა საქმე საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხს ეხება, იქ დავიწყებული უნდა იყოს კერძო ინტერესიც და შენჩემობაც. აი, სწორედ ასეთ კურსს დაადგება უახლოეს მომავალში გაზეთი.

ეტყობა, გაზეთს აქტივში არ შეიძლება ჩაეთვალოს მასალების შედარებითი სიმცირე ისეთ ზედმიწევნით მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა მშდ კომპლექსის, ტურიზმის, საწარმოო ტანვარჯიშის, ჯანმრთელობის გაკაჟების საშუალებათა პროპაგანდა. ამ პრობლემატიკას უთუოდ მეტი ყურადღება სჭირდება. ისმის კითხვა: თუ გაზეთის კოლექტივს ასე კარგად აქვს შეგნებული ზემოთ დასახელებული საკითხების უფრო ინტენსიური (და გეგმაზომიერი პროპაგანდის აუცილებლობა, მაშ, რაღა უშლის ხელს? საქმე ისაა, რომ ჩვენს რედაქციას თავიდანვე მიზნად აქვს დასახული, არც ერთი რუბრიკა, არც ერთი პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ ვალის მოხდის მიზნით არ გამოიტანოს გაზეთის ფურცლებზე, რათა ისინი ფორმალურ აქციად არ იქცეს. არ არსებობს მომგებიანი და წამგებიანი თემები, არსებობს ჭეშმარიტი და ფორმალური დამოკიდებულება მათდამი. სხვაგვარად, იმავე მშდ-ს და ჯანმრთელობის გაკაჟების შესახებ დასტამბულმა მასალებმა, თუ მაღალპროფესიულ დონეზე არ მომზადდა და მკითხველს თავი ვერ წააკითხა, შესაძლოა უკურეაქციაც კი გამოიწვიოს. ჩვენ კი, უნდა გითხრათ, ვუფრთხილდებით რედაქციის მარკას, ვუფრთხილდებით მკითხველის მოთმინებასაც. როცა ამას ვამბობთ, მხედველობაში გვაქვს ერთ-ერთ საპროგრამო პარტიულ დოკუმენტში დიდი გულწრფელობითა და სიმართლით ნათქვამი სიტყვები იმის შესახებ, რომ მძიმეა ხვედრი უინტერესო გაზეთისა, რომელსაც მკითხველი წაუკითხავად გადადებს გვერდზე. სავსებით ბუნებრივია, რომ „ლელოს“ არ სურს მოხვდეს ასეთ გაზეთებს შორის, მაგრამ აქტუალური პრობლემების, რუბრიკების დაგვიანებას და სიღარიბეს, რა მიზეზითაც უნდა იყოს ეს გამოწვეული, არავითარი გამართლება არა აქვს და „ლელოც“ უმოკლეს დროში წინ წამოსწევს ზემოთ აღნიშნულ პრობლემებს.

ისე კი, აუცილებლად უნდა ითქვას ერთი ყველაზე მთავარი: „ლელოს“ კოლექტივის არც ერთი წევრი არც ნიჭს, არც უნარს, არც თავისუფალ დროს არ იშურებს, რომ გაზეთს ჰქონდეს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, ნიშანდობლივი, ინდივიდუალური სახე და ხელწერა, რომ მისი ფურცლებიდან მკითხველმა მიიღოს პასუხი ყველაზე საინტერესო, ყველაზე აქტუალურ საკითხებსა და პრობლემებზე. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი კოლექტივი მომავალშიც შეძლებს გაზეთის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას, სიახლეების დანერგვის გზით მკითხველთან და ცხოვრებასთან უფრო ახლოს მისვლას. მაგრამ სამართლიანი არ იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ მიღწეული ჩვენში თვითკმაყოფილების, თვითდამშვიდების განწყობილებას ბადებდეს. ჩვენ ძალიან გვსიამოვნებს და ეს დასამალი სრულებითაც არ არის, როცა გვეუბნებიან, გაზეთი უკეთესი გახდაო. მაგრამ, თუ სიმართლე გნებავთ, ჩვენ თვითონ ჩვენივე გაზეთის ყველაზე უკმაყოფილო მკითხველები ვართ. ამას ამაო თავმდაბლობა არ გვალაპარაკებს... შესაძლოა ეს არაერთხელ იყოს ნათქვამი, მაგრამ, ვფიქრობ, ამჯერად ცნობილი ჭეშმარიტების ხელახალი კონსტატაცია არ გვაწყენს: მკითხველს ნაკლებად აინტერესებს თუ რატომ, რა მიზეზით არ ვარგა ესა თუ ის პუბლიკაცია, თავად გაზეთის ნომერზე რომ არაფერი ვთქვათ. ძნელია იგი გაამტყუნო: რედაქციამ მას უნდა მიაწოდოს მაღალი ხარისხის, ყოველმხრივ გამართული მასალა. ისე კი, თუ ბოლომდე სიმართლეს ვიტყვით, „ლელოს“ მაქებრებს სწორედ ის უკმაყოფილო, ერთი შეხედვით ჭირვეული და პრეტენზიული მკითხველი ურჩევნია, რომელიც მას დამშვიდებისა და ყალბი თვითკმაყოფილების საშუალებას არ აძლევს. სხვათა შორის, აქვე ვიტყვით, რომ მკითხველის არც ერთი წერილი, განცხადება, თხოვნა თუ საჩივარი რეაგირების გარეშე არ რჩება. მეტიც: ჩვენ ყოველი სიგნალი წარმოგვიდგება თავისებურ სოციოლოგიურ ანკეტად, რომლის მიხედვითაც ადვილი ამოსაცნობია ამა თუ იმ კატეგორიის მკითხველის პოზიცია, მისი დამოკიდებულება არა მარტო გაზეთისადმი, არამედ ფიზიკური კულტურისა და სპორტისადმი საერთოდ. ამავე წერილებიდან ჩვენთვის საცნაური ხდება, რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, სპორტის რომელი სახეობის მდგომარეობა აშფოთებს ყველაზე მეტად საზოგადოებრიობას. მართალია, ამ წერილებში ანალიზი ნაკლებადაა — უფრო შენიშვნა და ბრალდება ჭარბობს, მაგრამ ჩვენ მაინც დიდად კმაყოფილი ვართ მკითხველთა ფოსტით, რადგან იგი ჩვენი ამჟამინდელი და სამომავლო მუშაობის ერთ-ერთი ორიენტირია. გაზეთი ხშირად აქვეყნებს თვით მკითხველთა წერილებს, სურვილებს, შეკითხვებს. ეს, ერთი მხრივ, უფრო ამდიდრებს გაზეთის შინაარსობრივ-ჟანრობრივ მხარეს, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს რედაქციისა და მკითხველის ხშირ, სასარგებლო კონტაქტებს. ახლო მომავალში „ლელოს“ რედაქციას განზრახული აქვს უშუალოდ შეხვდეს თავის მკითხველ აუდიტორიას, სასურველია, თბილისს გარეთ. შეხვედრები ადგილებზე, კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები, გულახდილი და შეუფარავი დისკუსია ხელს შეუწყობს გაზეთსა და მკითხველს შორის ნდობის დამყარებას, მათს გაცნობასა და დაახლოებას. ეს შეხვედრები უთუოდ აისახება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, რაც, იმედი გვაქვს, ასევე ერთ-ერთი სტიმული იქნება „ლელოს“ მუშაობის გაუმჯობესებისა.

საერთოდ, რადაქციას მიაჩნია, რომ ამ მხრივ — გაზეთისა და მკითხველის კონტაქტს ვგულისხმობთ — ჭეშმარიტად ამოუწურავი რეზერვი არსებობს. თუ რა ფორმას მიიღებს ეს ურთიერთკავშირი, მნიშვნელოვანწილად ჩვენს აუდიტორიაზეა დამოკიდებული: თვით მკითხველმა უნდა გვირჩიოს, როგორ წარვმართოთ საერთო საქმის სასიკეთოდ ჩვენი შემოქმედებითი ურთიერთობა.

რა თქმა უნდა, ერთი მკითხველი მეორეს არა ჰგავს, თუმცა დიდი უმრავლესობა მხარს უჭერს, თანადგომას უცხადებს გაზეთის ამჟამინდელ თემატურ-შინაარსობრივ „მოზაიკას“. ცხადია, ასეთი დამოკიდებულება გვამხნევებს და უკეთ მუშაობის სურვილსაც გვიღვივებს. ბევრ საინტერესო მასალას, განსაკუთრებით — საჭირბოროტოსა და პრობლემურს — საფუძვლად დაედო სწორედ მკითხველის ნარჩევ-ნაკარნახევი თემა, სიუჟეტი. მაგრამ არსებობს მკითხველთა კიდევ ერთი კატეგორია (მართალია, ძალზე მცირერიცხოვანი), რომელიც გაზეთის მუშაობაში ცუდის, უარყოფითის გარდა ვერაფერს ხედავს და ნიშნის მოგებით, კრიტიკანობით ცდილობს რწმენა შეგვირყიოს, ახლანდელ კურსზე ხელი აგვაღებინოს. თანაც, როგორც წესი, ასეთი „მრჩევლები“ და „კეთილისმყოფელები“ ვერ ბედავენ სალანძღავ-საგინებელ წერილზე ხელის მოწერას და ანონიმად დარჩენას ამჯობინებენ. ვერაფერი ვაჟკაცობაა, გულახდილად უნდა ვთქვათ. განა ჩვენ მუდამ მადლიერნი არა ვართ იმ მკითხველებისა, რომლებიც საქმიანი, ობიექტური, თუნდაც სუსხიანი კრიტიკული შენიშვნებით გვეხმარებიან ნაკლის გამოსწორებაში. ასეთი კრიტიკა კეთილგანწყობასაც გულისხმობს, საერთო საქმის გულშემატკივრობასაც, და ამიტომ მუდამ აღწევს თავის მიზანს. გულბოროტი, გაღიზიანებული და უკულტურო კაცის კრიტიკა კი მხოლოდ და მხოლოდ ერთ მიზანს ისახავს: ბოლომდე გადმოანთხიოს ბოღმა, თუ შეძლებს, ლაფში ამოსვაროს გაზეთიც, რედაქციაც და მათთან ერთად — პატიოსანი, ერთგული მკითხველიც. გამოგზავნის რომელიმე ვაიმკითხველი ბრალდებას — თქვენს გაზეთში საინტერესო მასალა საერთოდ არ დაბეჭდილაო. და ალბათ სიამოვნებით იფშვნეტს ხელებს, იმით გახარებული, რომ საზოგადო საქმისა და გაზეთის მიმართ მომთხოვნი დამოკიდებულება გამოავლინა. არა, ასეთ პოზიციას კეთილგანწყობილსა და მეგობრულს ვერ დავარქმევთ, თუნდაც იმიტომ, რომ ნიჰილიზმს არასოდეს მოჰყოლია სიკეთე.

ისე კი, ნიჰილიზმმა ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილში რატომღაც მკვიდრად მოიკიდა ფეხი. დაჯდება ასეთი ნიჰილისტი სუფრასთან, ოჯახში, კამერულ შეკრებაზე და მოჰყვება ყველას და ყველაფრის განქიქებას: ეს არ მოსწონს, ის არ მოსწონს. თუ გაბედე და მორიდებულად შეედავე, ისე შემოგხედავს, როგორც გამოუსწორებელ კონსერვატორსა და პროვინციელს. ასეთმა ნიჰილიზმმა შეიძლება თვით ურყევი ეროვნული და საზოგადოებრივად დიდმნიშვნელოვანი მცნებების უარყოფამდეც კი მიგვიყვანოს. ნიჰილისტი მეტწილად ხელმოცარული, უნიჭო და ამიტომ შურიანი, ეჭვებით გულგასენილი კაცია. ნურავინ იტყვის, თითქოს ნიჰილიზმი სოციალურად საშიში მოვლენა არ იყოს...

...მოხდა ისე, რომ „ლელოს“ ერთ-ერთ ნომერში გაიპარა კორექტურული შეცდომა: ავსტრიის ნაცვლად ავსტრალია დაიბეჭდა. გაზეთს საღებავი არ შეშრობოდა, რომ ერთმა ჩვენმა კარგმა ნაცნობმა ვაი-უშველებელი აგვიტეხა: ეს როგორ მოგივიდათ, სხვადასხვა კონტინენტის ქვეყნები ერთმანეთში რამ აგარევინათო. იმ მკითხველს მადლობა მოვახსენეთ სიფხიზლისათვის, მაგრამ, ცოტა არ იყოს, ნაწყენი კი დავრჩით: იმ დალოცვილს შენიშვნის გარდა სიტყვა არ დასცდენია, თუმცა ჩვენ გულის კანკალით ველოდით მკითხველის რეაქციას გაზეთის იმავე ნომერში დასტამბული სხვა წერილის გამო, რომელიც დიდად საჭირბოროტო პრობლემებს ეძღვნებოდა. ცხადია, მკითხველს კორექტურული შეცდომის შემჩნევის უფლებას ვერავინ წაართმევს. მაგრამ ეს თვითმიზნად არ უნდა იქცეს.

კიდევ ერთ მაგალითს გავიხსენებთ. ამას წინათ ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა წერილი, რომელსაც ერთდროულად სამი მკითხველი აწერდა ხელს. ამ წერილის ავტორები, როგორც იქვე მითითებული მათი თანამდებობებიდან ჩანს, თავიანთი საქმიანობით შორს დგანან სპორტისაგან, და, კერძოდ, ფეხბურთისაგან, მაგრამ მთავარი ეს როდია — რამდენი გულშემატკივრისაგან მიგვიღია მართლაც საღი და კონსტრუქციული რჩევა-მოსაზრება სპორტსა და ფეხბურთზე. ამ წერილის ავტორები კი, სამწუხაროდ, გარდა ფეხბურთისა, ძალიან ცუდად ერკვევიან ბეჭდითი სიტყვისა და, კერძოდ, სპორტული პრესის რაობაშიც. გთავაზობთ მათი წარმოუდგენლად არაპროფესიული და არაობიექტური მსჯელობის მხოლოდ ერთ ნიმუშს: თურმე სპორტული პრესა ძალზე სცოდავს, როცა ამა თუ იმ საფეხბურთო მატჩის რეცენზია-ანალიზს ოპერატიულად აქვეყნებს. ამას წერილის ავტორები არქმევენ ამაო ფუსფუსს, გაუმართლებელ ნაჩქარეობასა და ამჩატებას. თურმე, მათი აზრით, სარეცენზიო წერილი ჯერ კარგად უნდა დამჟავდეს და მერე, დღეებისა და, შესაძლოა, კვირეების შემდეგ გამოქვეყნდეს. თურმე ჟურნალისტი ჯერ მავანსა და მავანს უნდა დაეკითხოს და თავისი მოსაზრება მხოლოდ მაშინ შესთავაზოს მკითხველს, როცა წერილი კარგი კონიაკის დასაყენებლად საჭირო დროს დაჰყოფს სარედაქციო პორტფელში. ყველა ყველა და, რა გუნებაზე დადგებით, მკითხველო, მატჩიდან ერთი კვირის შემდეგ რომ წაიკითხავთ ამ შეხვედრის რეცენზიას? საინტერესოა, რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა რედაქცია, როცა ამ წერილს აქვეყნებდა? კი, ბატონო, ყველას გვაქვს უფლება ვწეროთ, მაგრამ ყველაფერი როდი უნდა ვბეჭდოთ. დავუბრუნდეთ ისევ იმ წერილს. ავტორების აზრით, თბილისის „დინამოსა“ და მის ხელმძღვანელობას სპორტული პრესა არაკორექტულად ექცევა: თურმე წინათ მათ ნაკლებად ან სულაც არ აკრიტიკებდნენ, შარშან კი მოსდგნენ, მაგრამ რას მოსდგნენო. ჩვენც მანდა ვართ, მეგობრებო: თქვენი არ იყოს, ჩვენც ძალიან გვეთანაღრებოდა გული, როცა სპორტული პრესა „მოყვარეს პირში უძრახეს“ პრინციპს უგულებელყოფდა და ამით გუნდს ცუდ სამსახურს უწევდა. გამოდის, რომ სპორტული პრესა ქების ღირსი ყოფილა, თუ, ბოლოს და ბოლოს, საქმისთვის საზიანო დუმილი დაარღვია, წერილის ავტორები კი სწორედ ამას გვსაყვედურობენ.

ისე ნურავინ გაგვიგებს, თითქოს საკუთარ ნაკლს ვერ ვხედავდეთ. პირიქით, ჩვენ ვიცით, რომ გაზეთს, სპორტულ პრესას ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა დასჭირდება, მეტი სიახლე და ნოვატორობა, მეტი პროფესიონალიზმი და შემართება, რათა საპროგრამო დოკუმენტებში ჩამოყალიბებულ მაღალ მოთხოვნებს პასუხობდეს. ესაა, უწინარეს ყოვლისა, არა მარტო რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრების წარმოჩენა და ანალიზი, არამედ ზრუნვა იმისთვის, რომ თითოეულ ოჯახში მოიკიდოს ფეხი ფიზიკურმა კულტურამ, თითოეული ოჯახის მოთხოვნილებად იქცეს ვარჯიში, სპორტთან კონტაქტი. კარგია მედლები, დიდ პატივს ვცემთ ჩემპიონებს, მაგრამ ყველაფერზე მაღლა მაინც მილიონების ჯანმრთელობას ვაყენებთ. აი, სწორედ ეს კარდინალური მიმართულება უნდა გაკვალოს სპორტულმა პრესამ. ოღონდ აქ აუცილებელია დავიცვათ ერთი პირობა: აქტუალური თემატიკა მარტო მაშინ იპოვის გზას მკითხველის გულამდე, თუ პროფესიული თვალსაზრისითაც მისი შესაფერისი იქნება. აი, ამას ისახავენ მიზნად სპორტული პრესის მსახურნი. და ალბათ ჩვენც შეგვიძლია გავიმეოროთ მაქსიმ გორკის ცნობილი სიტყვები: პარტიამ ჩვენ ყველაფრის უფლება მოგვცა, ცუდად წერის უფლების გარდა.

მოსწავლე წყალბურთელები ემზადებიან

მოსწავლეთა XVIII საკავშირო სპარტაკიადის ფინალურ ასპარეზობამდე საკმაო დროა დარჩენილი, მაგრამ სპორტის ბევრ ისეთ სახეობაში, რომელიც სპარტაკიადის პროგრამაში შედის, უკვე კომპლექტდება ნაკრები გუნდები. საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატი წყალბურთში, რომელიც ახლახან დამთავრდა თბილისში, ამ სახეობაში ნაკრები გუნდისთვის კანდიდატთა შერჩევასაც ისახავდა მიზნად. წყალბურთი ჩვენში მასობრიობით ვერ დაიკვეხნის, ამიტომ იყო, რომ შეჯიბრებაში მხოლოდ თბილისის, სოხუმის, ქუთაისისა და რუსთავის გუნდები ჩაებნენ.

ტექნიკური და ტაქტიკური მომზადებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა „დინამოს“ სპორტსკოლის ნაკრებმა. ამ გუნდის წევრმა ზვიად დავითიანმა ჩემპიონატის საუკეთესო მცველის პრიზი მოიპოვა. ამავე გუნდიდან სპეციალისტების მოწონება დაიმსახურეს პაატა ჩიტაძემ, ლევან მაჭავარიანმა, ზურაბ კოსტავამ, დიმიტრი ნაკაიძემ და ნიკოლოზ მარგიევმა. პერსპექტიული მოთამაშეები არიან აგრეთვე თბილისის განათლების სამმართველოს გუნდში გიორგი გოგიტიძე, ნოდარ ბიწაძე, ალექსანდრე ტარაშვილი, მამუკა ტოგონიძე. უნდა აღინიშნოს ქუთაისელებიდან — დავით იაკოვლევის (იგი საუკეთესო მეკარედ აღიარეს), დავით პატარიძისა და კახა გოგინოვის და რუსთაველი თამაზ ჯოხარიძის კარგი თამაში.

საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. „დინამო“ თბილისი (მწვრთნელი ჯემალ კინწურაშვილი), 2. თბილისის განათლების სამმართველო (გელა სეხნიაშვილი), 3. ქუთაისის განათლების განყოფილება (დემურ კაზიევი).

გივი ხუროშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

მოკლედ

მიეძღვნა გამარჯვების 40 წლისთავს

ონის რაიონში დაიწყო დოსააფის ორგანიზაციათა ზონალური პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში. შეჯიბრება ეძღვნება დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავს.

უწერის ზონაში გუნდური გამარჯვება მოიპოვა სოფ. ღების საშუალო სკოლის გუნდმა (ხელმძღვანელი ა. ლობჟანიძე). პირად ჩათვლაში საუკეთესო შედეგები ჰქონდათ გლოლელ რ. ბიჭაშვილს და უწერელ დ. კერუსელიძეს (ვაჟები), ქალთა შორის პირველი იყო ღებელი ნატო ბოხაშვილი.

ნესტორ დუშუაშვილი.
(„ლელოს“ კორ.).

დაზვერვა შეტევის წინ

უძლიერესმა საბჭოთა მთამსვლელებმა მოაწყვეს ზამთრის მარშრუტის დაზვერვა. კომუნიზმის პიკის მისადგომებთან (7495 მ) ჯგუფს, რომელიც 20 უძლიერესი მთამსვლელისაგან შედგება (მათ შორის არიან ჰიმალაის მთებში პირველი საბჭოთა ექსპედიციის წევრები), ხელმძღვანელობს სამგზის „თოვლის ჯიქი“ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მდებარე ყველა 7-ათასიანი მწვერვალის დამპყრობი ვ. პუტრინი.

კომუნიზმის მწვერვალი პირველად 1933 წელს დაიპყრეს (მწვერვალზე ავიდა ე. აბალაკოვი). მას შემდეგ ამ მწვერვალზე 1500-ზე მეტმა მთამსვლელმა შედგა ფეხი, მაგრამ ზამთარში კომუნიზმის პიკზე ჯერ არავინ ასულა. ამჯერად ასვლა განსაზღვრულია 6 ათას მეტრზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანმრთელობა უწინარეს ყოვლისა

თამაზ გამყრელიძე:

„გულშემატკივრობა კარგია, ვარჯიში და თამაში — კიდევ უკეთესი“

ჩვენი დღევანდელი სტუმარია სახელოვანი ენათმეცნიერი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის ხელმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის კათედრის გამგე თამაზ გამყრელიძე.

მკითხველებს მოვაგონებთ, რომ ამავე დროს თამაზ გამყრელიძე გახლავთ აშშ-ის ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი საპატიო წევრი, დიდი ბრიტანეთისა და ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიების უცხოელი წევრი, აშშ-ის ლინგვისტური საზოგადოების საპატიო წევრი.

ახლა ზოგი ჩვენთვის საინტერესო ტიტულიც გავიხსენოთ — თამაზ გამყრელიძე საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრია, პირველთანრიგოსანი ჩოგბურთელი.



ს უ რ ა თ ზ ე: მარცხნიდან — ჰოუდი, გამყრელიძე, სეგურა.

● მეცნიერთა დიდი სიყვარული სპორტისადმი ახალი ამბავი არ გახლავთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნილს ბორი ცნობილი ფეხბურთელი, მეკარე იყო. თქვენ როგორ დაუკავშირდით სპორტს?

— ყველაფერი ფეხბურთით დაიწყო. მე ერთი იმათგანი გახლდით, ვინც ომისშემდგომ წლებში ბორის პაიჭაძის მატჩებს კი არა, ვარჯიშებსაც არ აცდენდა. ეს უდიდესი ფეხბურთელი ჩემი თაობის ნამდვილი კერპი იყო. იმ ესთეტიკური ხიბლის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია. შემთხვევით როდი უწოდეს მას რუმინელებმა „ფეხბურთის კარუზო“. ამასთან პაიჭაძე მარტო არ ყოფილა, მას მხარში ედგა დიდ ოსტატთა მთელი ჯგუფი. ჩემთვის ფეხბურთის ჭეშმარიტ ხელოვანთა კოჰორტა პაიჭაძით იწყება და ყიფიანით მთავრდება. ყოველი მატჩის შემდეგ კიროვის სახელობის ბაღში ვიკრიბებოდით, დიდხანს ვკამათობდით, ვარჩევდით თამაშს. რა მატჩები იყო! რა სანახაობა! რა სილამაზე!

● ჩოგბურთი?

— ჩოგბურთის თამაში, სამწუხაროდ, გვიან დავიწყე, სტუდენტობის წლებში. სამწუხაროდ-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ მოგეხსენებათ, თუ ჩოგბურთის თამაში ადრე არ დაიწყე, შემდეგ, რამდენიც არ უნდა ივარჯიშო, ოსტატის კლასს ვერ მიაღწევ, ისე, როგორც მუსიკალურ ინსტრუმენტს ვერ დაეუფლები ასაკში შესული.

ჩოგბურთში ჩემი მწვრთნელი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზკულტურის კათედრის წევრი მარლენ ქობალია — ამჟამად რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი. ხშირად ვთამაშობდი ძლიერ პირველთანრიგოსან თენგიზ კერესელიძესთან, სისტემატურად ვხვდებოდი და ვხვდები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლებს — გეოლოგ ფერანდო მაისაძეს და გეოგრაფ გურამ დონდუას.

როცა ჩვენ თამაში დავიწყეთ, ჩოგბურთი საქართველოში, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირში, არ იყო იმდენად პოპულარული. საზღვარგარეთ ჩვენს ოსტატებს, თუნდაც ისეთებს, როგორიც იყვნენ ნიკოლოზ ოზეროვი და ედუარდ ნეგრებეცკი, რომ არაფერი ვთქვათ, სერგეი ანდრეევზე, სერიოზულ მეტოქეებად არ თვლიდნენ. მაშინ ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ ერთ მშვენიერ დღეს სურათი შეიცვლებოდა, საბჭოთა ჩოგბურთის პრესტიჟი მკვეთრად ამაღლდებოდა და რაც მთავარია, ეს მოხდებოდა იმ ბიჭის წყალობით, რომლის თამაშსაც ჩვენ თითქმის ყოველდღიურად ვადევნებდით თვალს.

● ბავშვობიდანვე იცნობთ მეტრეველს?

— დიახ, ალექსანდრე მეტრეველი, ღვაწლმოსილ მწვრთნელ არამ ხანგულიანის მოწაფე, ქართული ჩოგბურთის სახელი და დიდება, ჩვენს თვალწინ იზრდებოდა. იგი სულ პატარა იყო, როცა თავის ძმას, პეტრეს ეთამაშებოდა, აგებდა და ტიროდა...

გავიდა დრო, მეტრეველისა და კაკულიას წარმატებების წყალობით ჩოგბურთი საქართველოში ძლიერ პოპულარული გახდა. თუ ადრე მწვრთნელები თვითონ ეძებდნენ ბავშვებს, მალე ისინი მსურველთ ველარ აუდიოდნენ...

ჩოგბურთით დაინტერესების საქმეში გარკვეულად დადებითი როლი შეასრულა თბილისში „კრამერის ჯგუფის“ ჩამოსვლამ. ამ ჯგუფში შედიოდნენ ეკვადორელი სეგურა, ავსტრალიელები ჰოუდი და ტრაბერტი, ამერიკელი ბუჰჰოლცი. მათ თბილისის სპორტის სასახლეში ქართველ საზოგადოებრიობას პირველად უჩვენეს ნამდვილი, მაღალტექნიკური ჩოგბურთი. ამ ოსტატთა თამაშის დავიწყება შეუძლებელია. მაგრამ დახეთ საოცრებას — ბევრ, ჩოგბურთის ნაკლებად მცოდნე მაყურებელს თამაში მოსაწყენი ეჩვენა, დარბაზი თითქმის დაცარიელდა...

მალე დაიწყო მეტრეველის ტრიუმფი საერთაშორისო ასპარეზზე. საკავშიროზე არაფერს ვამბობ, რადგან წლების მანძილზე მას აქ სერიოზული მეტოქე არა ჰყოლია. სიმართლეს თუ ვიტყვით, ჩვენთან ასეთი დიდი ოსტატის გასაზრდელად ობიექტური პირობები არ არსებობდა. ეს იყო რაღაც განსაცვიფრებელი ნახტომი.

1977 წელს მე საკმაოდ ხანგრძლივი მივლინებით ვიყავი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ტელევიზია ხშირად გადასცემდა მატჩებს ალექსანდრე მეტრეველის მონაწილეობით — მისი თამაში დიდ ინტერესს იწვევდა.

● თქვენ არასოდეს გიღალატიათ ჩოგბურთისათვის?

— არასოდეს. ვმონაწილეობდი თბილისის ჩემპიონატებში, ვეტერანთა ასპარეზობებში. ახლა ოფიციალურ შეჯიბრებებში აღარ გამოვდივარ, მაგრამ კვირაში სამჯერ ინტენსიურად ვვარჯიშობ. ეს მახალისებს და მინარჩუნებს ჯანმრთელობას.

● წაგების სიმწარე თუ გამოგიცდიათ?

— მახსოვს, თბილისში ჩამოვიდნენ ერთ-ერთი აღმოსავლური სახელმწიფოს სამეფო გვარის წარმომადგენლები. ისინი საბჭოთა კავშირში მოგზაურობდნენ, როგორც ჩოგბურთელები. ჩოგბურთს ბავშვობიდან თამაშობდნენ, მაგრამ მაინც გაუჭირდათ ჩვენ გაგვმკლავებოდნენ. სადაც ითამაშეს, ყველგან წააგეს. თბილისში ამ პრინცებთან წყვილთა შეხვედრებში ვითამაშეთ ცნობილმა ოსტატმა ნუგზარ მძინარიშვილმა და მე. უნდა გენახათ, როგორ ცდილობდა ნუგზარი, მაგრამ რა გამოასწორებდა ჩემს უამრავ შეცდომას. ერთი სიტყვით, წავაგეთ, მაგრამ... ჩამეთვალა საერთაშორისო შეხვედრაში მონაწილეობა. „სოვეტსკი სპორტმა“ აღნიშნა სტუმრების რამდენიმე მარცხი და ის ერთადერთი გამარჯვება, რომელიც მათ ჩვენთან მოიპოვეს! ასე „გამოვიჩინე თავი“.

● სპორტულ მიმომხილველთა უმრავლესობა, ჰოუდს ყველა დროის უდიდეს ჩოგბურთელად მიიჩნევს. თქვენ რას იტყვით?

— რა მოგახსენოთ. სხვადასხვა დროის მოღვაწეების, გნებავთ სპორტსმენების ტალანტის შეფასება, ადვილი საქმე არ გახლავთ. ნუ მოვწყვეტთ მათ თავიანთ დროს, ეპოქას. მე შემთხვევა მქონდა მესაუბრა გამოჩენილ მევიოლინე ისააკ სტერნთან, რომელმაც თქვა — დღევანდელ, თუნდაც საშუალო მევიოლინეებს პაგანინის ტექნიკა მარტივად მოეჩვენებათო. ერთი სიტყვით, დრო გავიდა და პაგანინისაც შებედეს.

სჯობს სხვადასხვა დროის სპორტსმენები ასე შევაფასოთ: ვინ მოახდინა უფრო დიდი გავლენა თავისი სახეობის განვითარებაზე, ვინ რა როლი ითამაშა თავის დროზე. ყველაფერი დროსთან კავშირში უნდა განვიხილოთ.

რა თქმა უნდა, ბოლო წლებში ჩოგბურთი საგრძნობლად წავიდა წინ. მოდით, ვცადოთ გამოვიცნოთ ვინ მოუგებდა დღევანდელი კორიფეებიდან იგივე ჰოუდს!? არაფერს ვამბობ მაკინროუზე, კონორსზე, ლენდლზე. თქვენ წარმოიდგინეთ — ჰოუდს გერულაიტისიც მოუგებდა, მაგრამ სად ჰოუდის მნიშვნელობა ჩოგბურთისათვის და სად — გერულაიტისისა.

● ახლა, როცა მთელს მსოფლიოში ჩოგბურთი ასე განვითარდა, როგორ გგონიათ, საქართველოში იგი „მეტრეველამდელ პერიოდს“ ხომ არ უბრუნდება?

—ეს შეიძლება მეტისმეტად მკაცრი შეფასება იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ახლოსაა სინამდვილესთან. ჩვენ დავკარგეთ პოზიციები და როგორმე უნდა გამოვასწოროთ მდგომარეობა.

● რა არის ამისათვის საჭირო?

— უნდა დაჩქარდეს დახურული კორტების მშენებლობა, რათა წელიწადის ყველა დროში შეიძლებოდეს ვარჯიში. საჭიროა მოსავლელად საკმაოდ იოლი ცემენტის კორტების მოწყობა. გარდა ამისა, საჭიროა ჩოგბურთის მეტი პროპაგანდაც.

ადრე, როცა ქართული ჩოგბურთი აღმავლობას განიცდიდა, მეტრეველი და კაკულია წარმატებას წარმატებაზე აღწევდნენ, ჩვენთან უამრავი საკავშირო და საერთაშორისო ტურნირები ტარდებოდა, ახლა კი თითქმის დაცარიელდა ტრიბუნები. არადა სწორედ შეჯიბრებაზე შეიძლება ახალი მეტრეველების აღმოვაჩინოთ. მაღალი კლასის ჩოგბურთელის აღზრდას სწორედ შეჯიბრება სჭირდება, ხშირი შეჯიბრებები. ხომ ხედავთ რა დაუღალავად ასპარეზობენ მსოფლიოს წამყვანი ჩოგბურთელები.

● რას ურჩევთ ჩვენს ახალგაზრდებს?

— მარტო ახალგაზრდებს კი არა. ყველას მინდა ვურჩიო: აუცილებლად მისდიონ სპორტის რომელიმე სახეობას. საკმარისი არ არის მხოლოდ შეჯიბრებებზე დასწრება. გულშემატკივრობა, ფეხბურთზე კამათი. შენ თვითონ უნდა მისდევდე სპორტს, ივარჯიშო და ითამაშო!

საუბარი ჩაიწერა
გივი გამრეკელმა.

რუსთავის „ქიმიკოსის“ სპორტდარბაზში ხუთ დღეს გაგრძელდა 1971-1972 წლებში დაბადებულ მოსწავლე ხელბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატის I ჯგუფის I წრის მატჩები.



ქაპანი ერთად ვწიოთ!

თუ საერთო სურათის მიხედვით ვიმსჯელებთ, ამ ასაკის ხელბურთელებს არც ისე ცუდად უნდა ჰქონდეთ საქმე, მიუხედავად იმისა, რომ საკავშირო მაჩვენებლებს ჯერ კიდევ საკმაოდ ჩამორჩებიან. ჭაბუკებმა მათთვის შესაფერისი თამაში აჩვენეს. განსაკუთრებით თბილისელმა, ქუთაისელმა და, ნაწილობრივ, სამტრედიელმა სპორტსმენებმა გამოიჩინეს თავი. მწვრთნელებს დიდი მუშაობა გაუწევიათ პირველი შეტევის დასახვეწად, რიცხობრივი უპირატესობის გამოყენების შესათვისებლად. შეჯიბრების დებულების მიხედვით, დაცვაში ნებისმიერი სისტემის გამოყენება იყო ნებადართული, რამაც სხვადასხვა სათამაშო სიტუაციაში თითოეული ნორჩი ხელბურთელის დამოუკიდებელი აზროვნების არე გააფართოვა. ამ მხრივ თბილისელებმა ყველა მეტოქე დაჯაბნეს. ტურნირის ფავორიტებთან, ქუთაისელებთან (მწვრთნელი ჯუდა ხარაიძე) გადამწყვეტ მატჩში თბილისის „იმედმა“ (მწვრთნელი ალექსანდრე ხუციშვილი) გამოიყენა დაცვითი ვარიანტი 5+1, წინწაწეული მოთამაშით, რომელსაც შეტევაზე გასული თავდამსხმელისთვის უნდა შეეშალა ხელი. ეს ვარიანტი ქუთათურებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, მათ ვერ მონახეს „საწინააღმდეგო სვლა“ და იძულებული გახდნენ ბედს შერიგებოდნენ — ერთფეროვან თამაშს დასჯერდნენ, თუმცა ფარ-ხმალი არ დაუყრიათ. ყველაფერი ეს ქუთაისელთა გუნდის ტაქტიკურ სიღარიბეზე მეტყველებს, რაც, სამწუხაროდ, სხვა გუნდებსაც ახასიათებს.

სამტრედიის „ცისკარი“ (მწვრთნელი მილერი ქიშმარია) ორიოდე მოთამაშეზე ამყარებს იმედებს. კოლექტიურ თამაშში კი ჯერჯერობით მოიკოჭლებს. სამტრედიელები მხოლოდ ორჯერ დამარცხდნენ და ახლა მესამე ადგილზე იმყოფებიან.

რუსთავის „მეტალურგი“ (მწვრთნელი თამაზ ხარაიძე), თელავის „კახეთი“ (მწვრთნელი გია სიმონიშვილი) და ბათუმის „თოლია“ (მწვრთნელი ბენო ფირცხალაიშვილი) აშკარად ჩამორჩებიან ლიდერებს თამაშითაც და გუნდის დაკომპლექტებითაც. მათ თითქმის არა ჰყავთ პერსპექტიული მოთამაშე. არადა, წარუმატებლობას მწვრთნელები შეჯიბრების სიმცირით და აქედან გამომდინარე გამოუცდელობით ხსნიან. ჩვენ მათ ვურჩევთ მთავარი ყურადღება ტექნიკურ-ტაქტიკურ მხარეს დაუთმონ.

სრული ფიასკოს მიუხედავად (5 დამარცხება 5 მატჩში), აღსანიშნავია ბათუმელთა „ტანდაბალი“ გუნდის ენთუზიაზმი, თითოეული მოთამაშის თავგანწირული თამაში ყოველ შეხვედრაში. ის, რომ ჭაბუკები ასე თავგამოდებით, სპორტული ჟინით იბრძვიან, უკვე ბევრზე მეტყველებს. ვფიქრობთ, მათი გამოცდილი მწვრთნელი ჩემპიონატის II წრისთვის სასიამოვნო სიურპრიზს გვიმზადებს. ეს აშკარად იგრძნობოდა რუსთავში.

გოგონათა ტურნირში თბილისის „მერცხალი“ (მწვრთნელი ლუბა სოლომახინა) მთელი თავით მაღლა იდგა დანარჩენ გუნდებზე. რუსთავში ეს კოლექტივი სასწავლო-საწვრთნელ პროცესში დამუშავებულ ტაქტიკურ ვარიანტებს ხვეწდა. ჯერ ადრეა ლაპარაკი იმაზე, თუ რას მიაღწევს ეს გუნდი მომავალში, რადგან ჯერ კიდევ დიდი გარჯა მართებს, საკავშირო დონეს რომ მიუახლოვდეს. რესპუბლიკურ შეჯიბრებებში წარმატება განა ბევრს ნიშნავს.

სატურნირო ცხრილის მეორე საფეხურზე ქუთაისელები (მწვრთნელი გურამ გურულიშვილი) აღმოჩნდნენ. მათ არათანაბრად ჩაატარეს ტურნირის ხუთი მატჩი: იყო ლამაზი გამარჯვებაც და დასანანი წაგებაც. ქუთაისელებს, ხელბურთის სპეციალური სპორტდარბაზის მფლობელთ, დღეს აშკარად მეტი მოეთხოვებათ.

სოხუმის „მეგობრობა“, ფოთის „ფაზისი“, რუსთავის „მეტალურგი“ და ბათუმის „თოლია“ ახლა „იდგამენ ფეხს“, ამიტომ არ ვუსაყვედურებთ, თუმცა არ დაგვავიწყნია, ახლო წარსულში რესპუბლიკის ნაკრები გუნდები ამ ქალაქებიდან რომ იღებდნენ სრულფასოვან შევსებას. დღეს ეს ტრადიცია მივიწყებულია და თუ რუსთავში გამართული თამაშების მიხედვით ვიმსჯელებთ, პერსპექტივა ჯერჯერობით არც ისე მომხიბვლელია.

შარშან ტაშკენტში ჩატარებულმა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადამ ნათლად დაგვანახა ჩვენი გოგონების (და შესაბამისად ქალთა) ხელბურთის ნაკლი, ნათლად დავინახეთ მწვრთნელების ზერელე შრომის ნაყოფიც და თვით სპორტსმენების უპასუხისმგებლობაც. სპარტაკიადამ მწარე გაკვეთილი მოგვცა, გამოააშკარავა ჩვენი დამოკიდებულება ქართული ხელბურთისადმი. გოგონების მიერ „მოპოვებული“ მე-16 ადგილი (სამწუხაროდ, მათ არც ჭაბუკები ჩამორჩნენ) ბავშვებთან მომუშავე ყველა მწვრთნელის „დამსახურებად“ შეიძლება ჩაითვალოს. და თუ გვსურს, რომ მომავალში მაინც აღარ გამეორდეს შარშანდელი სექტემბრის მწარე გაკვეთილები, ერთად უნდა ვწიოთ ჰაპანი იმ ძნელ გზაზე, რომლის ფინიშიც მოსწავლეთა მე-18 საკავშირო სპარტაკიადაა. წლევანდელი ორწრიანი რესპუბლიკური შეჯიბრება ამ გზის დასაწყისია.

ჯემალ აბაიშვილი,
სპორტის საპატიო ოსტატი.

ევროპის საკლუბო ტურნირები

დღეს და 20 მარტს

დღეს, 6 მარტს, განახლდება 1984-85 წლების ტურნირები ფეხბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე, თასების მფლობელთა თასზე და უეფა-ს თასზე. გაიმართება მეოთხედფინალის პირველი შეხვედრები.

მეოთხედფინალი მეტად საპასუხისმგებლო ეტაპია. როგორც ყოველთვის, სამივე ტურნირს მხოლოდ ძლიერნი შემორჩნენ და, ბუნებრივია, ბრძოლაც საგრძნობლად გართულდა. საბჭოთა ფეხბურთელები ამჯერად სამივე ტურნირში მონაწილეობენ; ჩემპიონთა თასის გათამაშებაში დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ საფრანგეთის „ბორდოს“ (ქ. ბორდო) ხვდება, თასების მფლობელთა თასისათვის ითამაშებენ საბერძნეთის „ლარისა“ (ქ. ლარისა) და მოსკოვის „დინამო“, ხოლო უეფა-ს თასისთვის — იუგოსლავიის „ჟელეზნიჩარი“ (ქ. სარაევო) და მინსკის „დინამო“.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მეოთხედფინალში გამოდიან ევროპის ისეთი ძლიერი გუნდები, როგორიც არიან „ლივერპული“ (ინგლისი), „იუვენტუსი“ (იტალია), „ბაიერნი“ (გფრ), „რომა“ (იტალია), „სელტიკი“ (შოტლანდია), „ტოტენჰემი“ (ინგლისი), „ინტერი“ (იტალია), „კიოლნი“ (გფრ), „რეალი“ (ესპანეთი), „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი), „ჰამბურგი“ (გფრ) და სხვანი, უნდა ვთქვათ, რომ არც ერთი ჩვენი ახლანდელი მეტოქეთაგანი არ მიეკუთვნება ევროპულ გრანდებს. ამდენად, წილისყრა საკმაოდ იღბლიანი გამოდგა ჩვენი გუნდებისთვის. მათ შეუძლიათ იბრძოლონ ნახევარფინალში გასასვლელად, ეს კი მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება კოეფიციენტთა ცხრილში, რომელშიც ყოველი ტურის შემდეგ საგრძნობი ცვლილებები ხდება თამაშის შედეგების მიხედვით.

ყველაზე სოლიდური, სერიოზული მეტოქე, ცხადია, „დნეპრს“ ჰყავს. „ბორდო“ ამჟამად საფრანგეთის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია, ამ კლუბში გამოდიან ცნობილი ფეხბურთელები, ევროპის ჩემპიონები ჟ. ტიგანა და ა. ჟირესი, ბ. ლიაკომბი, მ. ბატისტონი, პორტუგალიისა და გფრ-ის ნაკრები გუნდების წევრები ფ. შალანა და დ. მიულერი. „ბორდოს“, არსებითად, არც ერთ რგოლში არა აქვს სუსტი ადგილები. მიმომხილველთა აზრით, გუნდს წლეულს უკვე გარანტირებული აქვს საფრანგეთის ჩემპიონობა და, რასაკვირველია, მთელი ძალით იბრძოლებს ჩემპიონთა თასის გათამაშებაშიც.

„ლარისა“—მოსკოვის „დინამოს“ მეტოქე თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში არათუ ევროპული მასშტაბით, თავისი ქვეყნის პირობაზეც ახალბედა, მკაცრ ბრძოლებში გამოუცდელი გუნდია. იგი სულ ორი ათეული წელია არსებობს, მაგრამ ამ მცირე დროში საგრძნობ წარმატებებს მიაღწია, ლარისელები აქტიურ, შემტევ ფეხბურთს თამაშობენ და ბევრი ბურთიც გააქვთ.

საბერძნეთის ამ კლუბს წვრთნის პოლონელი სპეციალისტი ა. სტრეილაუ, მან გუნდში მოიწვია ცნობილი პოლონელი ფორვარდი ქ. ადამჩიკი. მასთან ერთად თავდასხმაში გამოდის სწრაფი და ტემპერამენტიანი ი. ვალაორასი, კარს იცავს საიმედო მეკარე გ. პლიცისი. საერთოდ, „ლარისას“ 5 მოთამაშე საბერძნეთის ეროვნული ნაკრების წევრია. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალი ქალაქ ლარისას მთელი მოსახლეობის სპორტული პრესტიჟის საქმედ იქცა. იქაური ფეხბურთელებიც, ცხადია, არაფერს დაიშურებენ საიმისოდ, რომ ევროპის საფეხბურთო ელიტაში დაიმკვიდრონ ადგილი, თუნდაც მცირე ხნით.

და ბოლოს, მინსკის დინამოელთა მეტოქის შესახებ. „ჟელეზნიჩარი“ საკმაოდ ცნობილი გუნდია, რკინიგზელთა სპორტული საზოგადოების წარმომადგენელი. უეფა-ს თასის მიმდინარე გათამაშებაში მან გაიმარჯვა ბულგარეთის „სლივენთან“, შვეიცარიის „სიონთან“ და რუმინეთის „უნივერსიტატიასთან“. სარაევოს გუნდის შემადგენლობაში გამოდიან ძლიერი მოთამაშეები მ. ბაჟარევიჩი, მ. ბალიჩი და სხვანი. „ჟელეზნიჩარის“ ხელმძღვანელობა არ მალავს, მეოთხედფინალის ორ მატჩში წარმატების იმედი აქვს.

სამივე ჩვენი გუნდი — „დნეპრიც“, მოსკოვის „დინამოც“ და მინსკის „დინამოც“ — დღეს სტუმრად თამაშობს. საპასუხო მატჩები ამ გუნდებს 20 მარტს შინ აქვთ, რაც, რა თქმა უნდა, მათ გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს.

დღეს ტელევიზიით ვნახავთ ევროპის საკლუბო ტურნირების სამივე მატჩს. 18 საათსა და 45 წუთზე სარაევოდან გადმოსცემენ „ჟელეზნიჩარისა“ და მინსკის „დინამოს“ შეხვედრას, 22 საათსა და 35 წუთზე — „ლარისას“ და მოსკოვის „დინამოს“ მატჩის II ტაიმს, ხოლო 23 საათსა და 30 წუთზე — „ბორდოსა“ და „დნეპრის“ თამაშს (დრო ყველგან თბილისისაა).

22 მარტს, მეოთხედფინალის საპასუხო მატჩების შემდეგ, მოეწყობა სამივე ტურნირის ნახევარფინალების წილისყრა.

მაჩვენებლები გაუმჯობესდა

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ ევროპის საკლუბო ტურნირებში დაწესებულია კოეფიციენტთა ცხრილი, რომლის მიხედვითაც ამა თუ იმ ქვეყანას უეფა-ს თასის გათამაშებაში გამოჰყავს გარკვეული რაოდენობის გუნდები. ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებებში ყველაფერი ნათელია — ევროპის ყოველ სახელმწიფოს თითო ადგილი აქვს დათმობილი. ასევე ერთი ადგილია განკუთვნილი უეფა-ს თასისათვისაც, მაგრამ, თუ ყველა ზემოაღნიშნულ გათამაშებაში სახელმწიფოს გუნდებს მაღალი მაჩვენებლები აქვს, უეფა-ს თასზე მათ დამატებითი ადგილები ეძლევათ. წარსულ წლებში სსრ კავშირს კოეფიციენტთა ცხრილში მაღალი მაჩვენებლები ჰქონდა და, შესაბამისად, რამდენიმე გუნდიც გამოჰყავდა უეფა-ს თასის გათამაშებაში. შემდეგ ეს მაჩვენებლები გაუარესდა, რის გამოც შარშან, მაგალითად, ამ შეჯიბრებაში მხოლოდ 2 გუნდის გამოყვანის უფლება დაგვრჩა. ახლა, ბოლო 5 წლის მაჩვენებლებით (1980-81 — 1984-85 წლების საფეხბურთო სეზონებში) კვლავ წინ წავიწიეთ, რამაც საერთო ჯამში დამატებითი კოეფიციენტი — 8.000 ქულა მოგვიტანა.

დღეს, როგორც ცნობილია, გაიმართება ევროპის საკლუბო ტურნირების მეოთხედფინალური მატჩები, 20 მარტს — საპასუხო შეხვედრები, სადღეისოდ კოეფიციენტთა ცხრილში პირველ სამ ადგილზე არიან ინგლისი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და იტალია. დებულების შესაბამისად ამ ქვეყნებს უფლება აქვთ 1986 წელს უეფა-ს თასის გათამაშებაში 4-4 კლუბი გამოიყვანონ. IV-VIII ადგილებზე არიან ბელგია, სსრ კავშირი, შოტლანდია, პორტუგალია და ესპანეთი. მათ უფლება აქვთ ამ რანგის ასპარეზობაში 3-3 გუნდით მიიღონ მონაწილეობა. IX-XXI ადგილებზე მყოფი ქვეყნები გამოიყვანენ 2-2 გუნდს, ხოლო ბოლო 10 ადგილზე დარჩენილნი — თითოს.

24 გაფრთხილება

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის, თასების მფლობელთა თასისა და უეფა-ს თასის 1984-85 წლების გათამაშებებში საბჭოთა გუნდებმა სულ 18 მატჩი ჩაატარეს. ამ 18 მატჩში ჩვენმა ფეხბურთელებმა 24 გაფრთხილება მიიღეს, ხოლო ხაპსალისმა, ბაშკიროვმა, მოროზოვმა, სიდოროვმა, იანუშევსკიმ და ლიტოვჩენკომ ყვითელი ბარათები ორ-ორჯერ დაიმსახურეს. სწორედ ამის გამოა, რომ სსრ კავშირის 1984 წლის საუკეთესო ფეხბურთელი, დნეპროპეტროვსკელი გენადი ლიტოვჩენკო ჩემპიონთა თასისთვის გამართულ შეჯიბრებაში დღეს ვერ ითამაშებს საფრანგეთში, „ბორდოს“ წინააღმდეგ.

რა თქმა უნდა, ევროპის საკლუბო ტურნირების მატჩებში დაძაბულობა ძალზე დიდია, მაგრამ თითოეულმა ჩვენმა ფეხბურთელმა კარგად უნდა იცოდეს, რომ ამ ტურნირებში მცირე დარღვევისთვისაც კი მკაცრად ისჯებიან, ხოლო ყოველი ასეთი სასჯელი საბოლოოდ გუნდს ავნებს.

უცხოელი არბიტრები ხშირად უფრო მკაცრად ეკიდებიან ზოგიერთ დარღვევას, ვიდრე ეს საკავშირო მასშტაბის შეჯიბრებებში ხდება (განზრახ ხელით თამაში, უკმაყოფილების გამოხატვა არბიტრის გადაწყვეტილების გამო, ბურთის განზრახ გადაგდება, 9-მეტრიანი დისტანციის დარღვევა საჯარიმო და თავისუფალი დარტყმებისას და სხვა „წვრილმანები“). ამიტომ ჩვენს ფეხბურთელებს მეტი ყურადღება და მობილიზება მართებთ ამ მეტად საპასუხისმგებლო, დიდმნიშვნელოვან შეჯიბრებათა მატჩებში.

შინ წაგება, სტუმრად მოგება

30 წლის განმავლობაში, რასაც ევროპის საკლუბო ტურნირების ისტორია მოიცავს, გამოიკვეთა გარკვეული ტენდენციები, კანონზომიერებანი, თუ გნებავთ, ტრადიციებიც.

ცნობილია, რომ მწვრთნელთა დიდი უმრავლესობის აზრით, უმჯობესია პირველი მატჩი მეტოქის მინდორზე ჩაატარო, ვინაიდან წარუმატებლობის შემთხვევაში რევანშის აღება შინ უფრო იოლია. საკუთარ მოედანზე ყველა კლუბი ცდილობს, რაც შეიძლება დიდა ანგარიშით გაიმარჯვოს და გასვლითი მატჩის წინ გარკვეული მარაგი შეიქმნას. მინიმალური ანგარიშით გამარჯვება კი ერთგვარ წარუმატებლობად ითვლება.



ფრედ დამთავრებულ შეხვედრას სტუმართათვის კარგ შედეგად მიიჩნევენ, საკუთარ მინდორზე დამარცხებული გუნდი კი მეორე მატჩის წინ ლამის განწირულად ჩათვალონ.

ყოველივე ეს თავისებურ დაუწერელ კანონად იქცა, თუმცა, მოგეხსენებათ, არ არსებობს კანონი გამონაკლისის გარეშე. ჩვენც სწორედ ამ გამონაკლისზე გვინდა შევაჩეროთ თქვენი ყურადღება.

1955 წლიდან მოყოლებული აღნუსხულია სულ 13 შემთხვევა, როდესაც პირველ მატჩში საკუთარ მოედანზე დამარცხებულმა გუნდმა განმეორებით შეხვედრაში, სტუმრად, სრულფასოვანი რევანში აიღო. პირველად ასეთი რამ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველი გათამაშების პირველ ეტაპზე მოხდა: იტალიის „მილანმა“ შინ განცდილი მარცხის (3:4) შემდეგ შეძლო სტუმრად დაემარცხებინა გფრ-ის „საარბრიუკენი“ (4:1) და თასისთვის ბრძოლა განაგრძო. ბოლო ასეთი შემთხვევა კი უეფა-ს თასის მიმდინარე გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალში მოხდა: ესპანეთის „ბარსელონა“ სტუმრად მოგებული მატჩის შემდეგ (4:2) შინ დიდი ანგარიშით (1:4) დამარცხდა საფრანგეთის „მეცთან“ და ასპარეზობას გამოეთიშა.

სიტყვამ მოიტანა და, ყველაზე ხშირად სწორედ „ბარსელონას“ შეხვდებით ქვემოთ მოყვანილ სიაში, სადაც მოცემულია ყველა შემთხვევა, როცა საკუთარ მოედანზე დამარცხებული გუნდი განმეორებით მატჩში სრულფასოვან რევანშს იღებდა და ასპარეზობას განაგრძობდა.

ჩემპიონთა თასი

1955-56 წწ. I ეტაპი **„მილანი“ (იტალია)** — „საარბრიუკენი“ (გფრ) 3:4, 4:1
1968-69 1/4 **„აიაქსი“ (ამსტერდამი, ჰოლანდია)** — „ბენფიკა“ (ლისაბონი, პორტუგალია) 1:3, 3:1, დამატებითი მატჩი — 3:0
1979-80 1/4 **„ნოტინგემ ფორესტი“ (ინგლისი)** — „დინამო“ (ბერლინი, გდრ) 0:1, 3:1

თასების მფლობელთა თასი

1970-71 1/8 **„რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი)** — „სვაროვსკი ვაკერი“ (ინსბრუკი, ავსტრია) 0:1, 2:0

უეფა-ს (ბაზრობათა) თასი

1964-65 I ეტაპი **„ბარსელონა“ (ესპანეთი)** — „ფიორენტინა“ (ფლორენცია, იტალია) 0:1, 2:0
1964-65 II ეტაპი **„ფერენცვაროში“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი)** — „ვინერ შპორტკლუბი“ (ვენა, ავსტრია) 0:1, 2:1, დამატებითი მატჩი — 2:0
1965-66 ფინალი **„ბარსელონა“ (ესპანეთი)** — „რეალი“ (სარაგოსა, ესპანეთი) 0:1, 4:2
1969-70 1/2 **„ანდერლეხტი“ (ბრიუსელი, ბელგია)** — „ინტერნაციონალე“ (მილანი, იტალია) 0:1, 2:0
1971-72 I ეტაპი **„სპარტაკი“ (მოსკოვი, სსრ კავშირი)** — ვსს (კოშიცე, ჩეხოსლოვაკია) 1:2 2:0
1971-72 I ეტაპი **„ლიერსი“ (ბელგია)** — „ლიდს იუნაიტედი“ (ინგლისი) 0:2, 4:0
1980-81 II ეტაპი **„კიოლნი“ (გფრ)** — „ბარსელონა“ (ესპანეთი) 0:1, 4:0
1981-82 I ეტაპი **„ჰამბურგერ შპორტფერაინი“ (გფრ)** — „უტრეხტი“ (ჰოლანდია) 0:1, 6:3
1984-85 I ეტაპი **„მეცი“ (საფრანგეთი)** — „ბარსელონა“ (ესპანეთი) 2:4, 4:1.

ზურაბ ფოცხვერია.

48

საბჭოთა კავშირის ჩემპიონ

დაიწყო საბჭოთა კავშირის 19
წლის ჩემპიონატი ფეხბურთში.
3 და 4 მარტს გაიმართა პირვე
ტურის კალენდარული მატჩები.
**„ნეფთჩი“ — „დინამო“ (მ
ხპი) 0:1 (0:0).** მატჩის ბედი გა
წყვიტა მინსკელი სოკოლის
ერ 49-ე წუთზე გატანილმა
თადერთმა ბურთმა.
**„დნეპრი“ — „დინამო“ (კიე
1:1 (0:0).** მატჩი მიმდინარეობ
11-გრადუსიან ყინვაში. ანგარ
გახსნა კიეველმა ევტუშენკომ,
ხვედრის დასასრულს კი საპას
ბურთი ტარანმა გაიტანა.
უხეში თამაშისთვის გააფრთ
ლეს კიეველთა ცენტრალური მც
ლი ბალტაჩა. ეს პირველი გაფ
ხილებაა 48-ე ჩემპიონატში.
**„სპარტაკი“ — ასკ რ. 3:0 (1
სპარტაკელთა სრული უპირატე
ბა გავრილოვისა (2) და როდ
ნოვის მიერ გატანილი 3 გოლ
დაგვირგვინდა.
მატჩში იმსაჯა სოხუმელმა ა.
ლჩენკომ.
**„ზენიტი“ — „ფაკელი“
(2:0).** დებიუტანტის კარში ბურ
ები გაიტანეს კლემენტიევმა და
რასიმოვმა.
გააფრთხილეს ვორონეჟელი
სევი და ლენინგრადელი დოლ
პოლოვი.
**„ჩერნომორეცი“ — „მეტალ
ხტი“ 4:3 (3:1).** გოლები: სახ
პლოსკინა (პენალტი), შარიი,
მანჩუკი („ჩერნომორეცი“), სვ
ტუნი, ლინკე და ბონდარენკო.
**„არარატი“ — „ჟალგირისი“
(2:1).** გოლები: ხ. ოვანესიანი,
ოვანესიანი, კაჩარიანი („არარატ
იაკუბაუსკასი (2), კრასავცევი (
ლგირისი“).
გააფრთხილეს „ჟალგირისის“
ხბურთელები რასიუკასი და კრ
ვცევი.
საკავშირო ჩემპიონატის I ტ
მაღალი შედეგიანობით აღინ
8 მატჩში 29 ბურთი გავიდა.
გათამაშების შემდგომი, II ტ
რის შეხვედრები გაიმართება
და 11 მარტს.

ინფორმაცია

ოსლო. დამთავრდა ხელბურთ
ვაქთა მსოფლიო ჩემპიონატი
ჯგუფში. გამარჯვება მოიპ
გდრ-ის ნაკრებმა, რომელმაც
დაძაბულ შეხვედრაში სსრ კ
შირის გუნდი დაამარცხა 27
(18:12). მესამე ადგილისათვის
მართულ ბრძოლაში პოლონელ
ჩეხოსლოვაკიელ ხელბურთელ
აჯობეს — 26:25. მეხუთე ადგ
დაიკავა უნგრეთის გუნდმა —
ამარცხა ესპანეთის ნაკრები 29
ზემოთ ჩამოთვლილი ექვსივე გ
დი გაისად „ა“ ჯგუფის მსოფ
ჩემპიონატში იასპარეზებს. ეს
რნირი შვეიცარიაში გაიმართებ

დუშანბე. აქ გაიმართა საინ
რესო საკავშირო შეჯიბრება
ზატკეცილო რბოლაში. ჯგუ
ასპარეზობაში 120 კილომეტ
სამმა სპორტსმენმა ვალერი მა
ვმა, ოლეგ შერშნიოვმა (ორთაქ
ომსკიდან) და ირკუტსკელმა ს
გეი ზიაბრევმა ერთნაირი შე
(2:38..45,0) აჩვენა. დაყოფილ
რტით რბოლა 18 კილომეტ
მოიგო მსოფლიოს ორგზის ჩე
ონმა ლენინგრადელმა ვიაჩეს
ეკიმოვმა. მისი თანაგუნდელი
ქსანდრე ვასეკინი მეორე ადგ
გავიდა.

ხარკოვი. აქ დამთავრდა ს
კავშირისა და გერმანიის დემ
რატიული რესპუბლიკის იუნ
თა ტრადიციული სამატჩო შე
დრა ცურვაში. გაიმარჯვეს სტ
რებმა (195:165), რომლებიც
სახეობიდან თვრამეტში უძლე
სნი იყვნენ.

რედაქტორი ა. გოგელ

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. № 14
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
ხამდივნო — 93-97-52
წერილების განყოფილება — 93-97-55
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსია 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორ
დენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფს
ტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 0608